№ 170 მთავრობის მოამბე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. შაბათი, ივლისის 31 1920 წ.

მთავრობის მოამბე, უოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 8 მან. 4-ხე გვ. 6 მ.ნ. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 150 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 40 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20%. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

ოფიციალური განყოფილება

შტატი

1919—1920 წლის, მიწათ-მოქმედების სამინისტროს დაწესებულებათა.

№№ რიგზე.	თანამდებობის სახელწოდება.	თანამდებობის პირთა რიცხვი.	თვიური ჯამაგირი თვითეულს.	წლიური ჯამაგირი თვითეულს.	წლიური ჯამაგირი ყველას.
			მ ა ნ ე თ ი.		
	5. სახელოსნოების და სხვა ტექნიკური ნაწილები.				
1	მემანქანე მონტიორი	1	2400	28800	28800
2	მემანქანე ზეინკალი	1	1500	18000	18000
3	დურგალი	1	1400	16800	16800
4	მჭედელი	1	1400	16800	16800
5	მღებავი	1	1300	15600	15600
6	მემანქანის თანაშემწე	1	1350	16200	16200
7	მეწისქვილე	1	1300	15600	15600
8	მ ჩ ქუჩე (კვერის დამკვრელი)	1	1250	15000	15000
9	მეღუმელე	1	1350	16200	16200
10	სახელოსნოს უფროსი შეგირდი	1	960	11520	11520
11	სახელოსნოს უმცროსი შეგირდი	2	800	9600	19200
	სულ	12	—	—	189720
	სულ მამულს	153	—	—	2172960
	ე) სახელმწიფო მამული „ნაფარეული“.				
	1) გამგებლობა.				
1	მოურავი	1	3150	37800	37800
2	ბუხჰალტერი	1	2500	30000	30000
3	მოანგარიშე	1	1800	21600	21600
4	მასალების ნაწილის გამგე	1	1400	16800	16800
5	ფერშალი	1	1500	18000	18000
6	მანქანით გადამწერი	1	1300	15600	15600
7	უფროსი მეეტლე	1	1200	14400	14400
8	უმცროსი მეეტლე	1	1100	13200	13200
9	მეჯინიბე	3	1100	13200	39600
10	მეურმე-მეფურგუნე	5	1100	13200	66000
11	ბაღის დარაჯი	2	1100	13200	26400
12	შიკრიკი, მეეზოვე, დარაჯი და მეველე	6	1000	12000	72000
13	მოსამსახურე საავადმყოფოში	1	1000	12000	12000
14	ტყისმცველი	4	1000	12000	48000
	სულ	29	—	—	431400
	2. ვენახები				
1	უფროსი მევენახე	1	1750	21000	21000
2	უმცროსი მევენახე	1	1500	18000	18000
3	ვენახის მუშა I კატეგორიისა	23	1250	15000	345000
4	ვენახის მუშა II კატეგორიისა	20	1000	12000	240000
5	ვარდის პლანტაციის დარაჯი	1	1000	12000	12000
	სულ	46	—	—	636000
	3. სახელოსნოები.				
1	მემანქანე ზეინკალი	1	1500	18000	18000
2	დურგალი	1	1400	16800	16800
3	მჭედელი	1	1400	16800	16800
4	მეჩაქუჩე (კვერის დამკვრელი)	1	1200	14400	14400
5	მარნის მუშა I კატეგორიისა	1	1250	15000	15000
6	მარნის მუშა II კატეგორიისა	3	1100	13200	39600
	სულ	8	—	—	120600
	4) „სანიოარე“-ს ყოფილი ტიზენგაუზენის მამული.				
1	მებაღე	1	1500	18000	18000
2	ნოქარი	1	1500	18000	18000
3	მუშა ვენახისა	2	1000	12000	24000
4	მეჯინიბე	1	1100	13200	13200
5	დარაჯი	2	1000	12000	24000
	სულ	7	—	—	97200
	სულ მამულს	90	—	—	1285200

1920 წ. ივნისის 7-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

განკარგულებანი

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

29 ივლისი, 1920 წ., № 225.

განთავისუფლებულ იქნას სააქციო სამმართველოს უფროსის თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან თანახმად თავისი თხოვნისა სააქციო სამმართველოს უფროსი პლატონ ივანეს ძე გვერდწითელი ამა წლის აგვისტოს პირველიდან.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი

ხ. ავალიანი.

ქუთაისის სავაჭრო სამრეწვ. სააქციონერო საზოგადოების

დამფუძნებელნი ამით აცხადებენ, რომ ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ ამა წლის 5 ივლისს საზოგადოების წესდება დამტკიცა.

საზოგადოების სამოქმედო თანხა წესდებით 30.000.000 მანეთით არის განსაზღვრული. თითო აქცია ღირს 1000 მან., რომლის ნახევარი მაინც უნდა იქნეს შემოტანილი ხელის მოწერის დროს. საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავად კი 50 მან. თითო აქციაზე ერთდროულად. ხელის მოწერა მიიღება 10 აგვისტომდის შემდეგ ბანკებში:

ქუთაისში: საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში, სამეურნეო სამრეწველო კრედიტის საზოგადოებაში და აზოვო დონის კომერც. ბანკში.

ტფილისში: ამიერ კავკასიის ბანკში, ცენტრალურ ბანკში და სამეურნეო კრედიტის საზოგადოებაში.

ბათუმში: ამიერ კავკასიის ბანკში, ცენტრო-ბანკში და საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში.

ფოთში: ქართულ სავაჭრო ბანკში. 2004 3—2

განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის საბჭომ დაადგინა: მიეცეს საშსახურში მყოფ ყველა 1888 და 1889 წლებში დაბადებულ სათადარიგო და მოლ შქრე ჯარის-კაცთ ამა წ. 5 აგვისტოდან 2 თვის შვებულება და მათ ნაცვლად მოწვეულ იქმნა 6 კვირის სასწავლო ყრილობაზედ ყველა 1896 წელში დაბადებულნი სათადარიგო და მოლაშქრე ჯარის კაცნი გაწვევა მოხდეს 1-დან 5 აგვისტომდე გასაწვევ უბნების მიხედვით.

თანახმად ამ დადგენილებისა ტფილისის ქ ლაქის გამგეობა აცხადებს, რომ ყველა 1896 წელს დაბადებულნი სათადარიგო და მოლაშქრე ჯარის კაცნი მუდმივ ან დროებით მცხოვრები ქ. ტფილისში მოვალენი არიან გამოცხადდენ მიმღებ კომისიაში ტფილისის სამხედრო ნაწილის უფროსის სამმართველოსთან (ვაგზლის ქ.) ქვემო-აღნიშნულ დღეებში:

მცხოვრებნი 1, 2, 3, 4, 5, და მე-6 უბნის კომისარიატებში 1-ლ აგვისტოს, კვირას, დილის 9 საათზედ.

მცხოვრებნი 7, 8 და 9 უბ. კომისარიატებში—2 აგვისტოს, ორშაბათს დილის 9 საათ.

მცხოვრებნი 10 და 11 კომისარიატებში—3 აგვისტოს, სამშ ბათს.

მცხოვრებნი 12 და 13 კომისარიატებში— 4 აგვისტოს ოთხშაბათს.

ყველა ის გაწვეული პირი, რომელიც არ გამოცხადდება ზემოაღნიშნულ ვადის განმავლობაში, მიცემულ იქნება პასუხისგებაში თანახმად 1919 წლის 2 აგვ სტოს მიღებულ სამხედრო მეგრის აუსრულებლობისა და ამ დანაშაულის დაფარვისა და წაქეზებისათვის დასჯის დეკრეტისა.

2—1

ტფილისის ქალაქის გამგეობა

საქართველოს სენატის თავმჯდომარისა.

24 ივლისი, 1920 წ. № 25.

გადაყვანილია ტფილისის სასამართლო პალატის კანცელარიის მოხელე ლიდია მალაქიას ასული სვანიძე საქართველოს სენატის კანცელარიის მოხელედ სამსახურისათვის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტში მივლენით ა. წ. აგვისტოს 1-დან.

17 მარტი, 1920 წ. № 3.

ინიშნება ტფილისის ოლქის სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებელი დიმიტრი გაბაშვილი—იმავე ოლქის სასამართლოს წევრად 1920 წლ. მარტის 17-დან.

გადაყვანილია ქუთაისის ოლქის სასამართლოს წევრი მიხეილ ივანეს ძე ბადრიძე—ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრად 1920 წლ. მარტის 17-დან.

27 აპრილი, 1920 წ., № 4.

სენატის საკასაციო დეპარტამენტთა შეერთებულ საკრებულოს წევრებად არჩეულნი არიან სენატორები: დიმიტრი ილარიონის ძე კალანდარიშვილი და გიორგი კონსტანტინეს ძე ხარაზიშვილი.

31 მაისი, 1920 წ., № 5.

გამორიცხულია ტფილისის სასამართლო პალატის წევრთა სიიდგან ლეონიდი ალექსის ძე კრასნიხი, მისი იუსტიციის სამინისტროსთან არსებული მომქმედ კანონების გადამსინჯავ კომისიის წევრად დანიშვნის გამო, 1920 წ. მაისის 31-დან.

ინიშნებიან: სამხედრო სასამართლოს მოსამართლე ვლ. ს. წივწივაძე—ტფილისის სასამართლო პალატის წევრად და ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრი ვ. დ. გომართელი—ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგათ. ორივე 1920 წ. მაისის 31-დან.

12 ივნისი, 1920 წ., № 6.

გამორიცხულნი არიან ტფილისის სასამართლო პალატის წევრთა სიიდგან: მაქსიმე პავლეს ძე დიაკონენკო და ალექსი პეტრეს ძე გეევსკი მათი იუსტიციის სამინისტროსთან არსებული მომქმედ კანონების გადამსინჯავი კომისიის წევრებად დანიშვნის გამო.

ინიშნებიან: ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრი მიხეილ პეტრეს ძე სარაჯიშვილი და უდიდეს საქმეთა გამომძიებელი მ. თ. ჯომარჯვ ძე—ტფილისის სასამართლო პალატის წევრებათ, ორივე 1920 წლ. ივნისის 12-დან.

26 ივნისი, 1920 წ., № 7.

თავისუფლდება თანამდებობიდან ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე იოსებ დავითის ძე სიდავა—თანახმად მისი თხოვნისა, ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორად დანიშვნის გამო 1920 წლ. ივნისის 26-დან.

13 ივლისი 1920 წ., № 8.

ინიშნებიან: ქუთაისის ოლქის სასამართლოს წევრი ნიკოლოზ არსენის ძე ფაშიკოვი და ტფილისის ოლქის სასამართლოს პროკურორის ამხანაგი ვლადიმერ ყაფლანის ძე ვაჩნაძე—ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრებად 1920 წლ. ივლისის 13-დან.

გადაყვანილნი არიან ტფილისის ოლქის სასამართლოს წევრები: სასამართლო განყოფილებათა—ვ. მ. ლუნკევიჩი და საადმინისტრაციო განყოფილების ს. დ. გელოვანი, ერთი მეორის ადგილზე.

16 ივლისი, 1920 წ., № 9.

თავისუფლდება თანამდებობიდგან სოხუმის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე გიორგი დიმიტრის ძე სიდამონ-ერისთავი—1920 წლ. ივლისის 16-დან, თანახმად მისი თხოვნისა.

საქართველოს სენატის თავმჯდომარე

დ. ხელთუფლიშვილი.

ფოსტა - ტელეგრაფის და ტელეფონის სამართველოს უფროსისა

5 ივლისი, 1920 წ.,

გამწესებულნი არიან: ყოფილი მოხელეები: თამარ ტრუბინინა, ელიზბარ მეგრელიძე, სამსონ ხოჭოლავა, სიმონ ცენტერაძე, პროკოფი კილაძე ახლად ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებად: ტრუბინინა მე-6 ხარისხ. ტფილისის ტელეფონის ქსელზე, მეგრელიძე მე-6 ხარ. სოხუმში, ცენტერაძე მე-4 ხარ. ტფილისის ფოსტაში, კილაძე მე-5 ხარისხ. ტფილისის ტელეგრაფში; მოქალ. ნიკოლოზ სონიშვილი სვანიძე და ყოფილი ფოსტალიონები: გრიგოლ გვინერია, აბესალომ კოხრე-

იძე, არუთინ ჩობანიანცი, ლევან ახობაძე, გრიგოლ ცაბაძე, პარმენ გოგია, ლუკიანე დგებუაძე, შალვა ვაშაკიძე; ფოსტ ლონებად მე 2 კატეგორიისა: სონიშვილი სვანიძე, გვინერია და კოხრეიძე ტფილისის ფოსტის კანტორაში, ჩობან ანცი კოჯორში, ახობაძე — ლაგოდეხში, ცაბაძე ფასანაურში, გოგია გაგრაში, დგებუაძე აბ სთუმანში, ვაშაკიძე ეკატერინოფელდში; ტრუბინინა 15 ივლისიდან, მეგრელიძე, ხოჭოლავა, გვინერია და ახობაძე 8 ივლ სიდან, ცენტრაძე და სონიშვილი სვანიძე პირველ ივლისიდ ნ. კილაძე 9 ივლისიდან, კოხრეიძე 7 ივლ სიდან, ჩობანიანცი, ცაბაძე, გოგია და ვაშაკიძე 11 ივლისიდან და დგებუაძე 6 ივლისიდან 1920 წლ.

დანიშნული აღიან ტფილისის ტელეგრაფის მოხელეები: მე-5 ხარ. ილია მაისურაძე, ვიქტორ გველესიანი, მარიამ ტატიევა; მე-6 ხარ. ლევან ხუცნაშვილი ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეებად იმავე კანტორაში: მაისურაძე, გველესიანი და ტატიევა მე 4 ხარისხებით და ხუცუნაშვილი მე-5 ხარ.; ფოსტალიონები: ქუთაისის გრიგოლ ბეგალოვი და ეკატერინეფელდის ვლადიმერ კაიშაური მე-6 ხარ. მოხელეებად; ბეგალოვი ტფილისის ტელეგრაფში და კაიშაური ეკატერინეფელდში; მაისურაძე, გველესიანი, ტატიევა და ხუცუნაშვილი 1-ელ ივლისიდან, ბეგალოვი 7 ივლისიდან, კაიშაური 8 ივლისიდან, ხოლო ხუცუნაშვილს აპარატ იუხაზე მუშაობისათვის ენიშნება პირველი დამატება.

გადაყვანილნი არიან ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები: ეკატერინეფელდის ნინა წერეთელი, ფოთის ალექსადრე დიხამინჯია, ძველი სენაკის გრიგოლ მაშავა იმავე წოდებით თანახმად თხოვნებისა: წერეთელი ტფილისის ტელეფონის ქსელზე, დიხამინჯია ძველი სენაკში, მაშავა ფოთში; წერეთელი 6 ივლისიდან, დიხამინჯია და მაშავა 8 ივლისიდან 1920 წ.

დათხოვნილნი არიან: გაგრის კანტორის მოხელე ალექსანდრე ალხაზოვი და ტფილისის ტელეგრაფის მოხელე ალექსანდრე სადკოვი თანახმად თხოვნებისა: ალხაზოვი 1 ივლისიდან და სადკოვი 9 ივლ. 1920 წ.

გაზრდილნი არიან სიებიდან: ტფილისის ტელეგრაფის მოხელე ელენე ნაცვალაძე და ფოსტალიონები: აბასთუმანის გიორგოლ ვაშაკიძე და ფიონეთის იოსებ შუშანაშვილი; ნაცვალაძე 1 ივლისიდან, ვაშაკიძე 1 ივნისიდან და შუშანაშვილი 16 ივნისიდან, ხოლო ნაცვალაძე და ვაშაკიძე სხვა უწყებაში გადასვლის გამო და შუშანაშვილი დანიშვნაზე უარის თქმისათვის.

სამმართველოს უფროსი **მგელაძე.**

არა ოფიციალური განყოფილება

მთავრობაში

საავადმყოფოების ერობებზე გადაცემა

თანახმად 1919 წლის ივლისის 3 გამოცემულ კანონისა, ყველა საავადმყოფო, რომელიც სამხედრო უწყების განკარგულებაში იმყოფება, გადაეცეს ინვენტარით ქალაქებსა და ერობების თვითმართველობათ. სამხედრო სამინისტროს განკარგულებაში დარჩეს 1200 ლოგინი, მათ შორის. ტფილისში 400, ქუთაისში 300 და სხვ. ყოველ ავადმყოფზე სახელმწიფო ხაზინიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში გაღებულ იქმნას განსაზღვრული თანხა. სულ მთელი ხარჯების დასაფარავად გადაიდოს 91.980.000 მან., ამ თანხაში არ შედის ის ხარჯები, რომელიც ავადმყოფთა გადაყვანა-გადმოყვანაში იხარჯება. სამხედრო უწყების ავადმყოფების განაწილება ერობების და ქალ ქების საავადმყოფოებს შორის ევალება შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომელიც უნდა შეავიდეს სათანადო პროექტით დამფ. კრებაში.

ფინანსთა სამინისტროში

საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების კომიტეტი

ფინანსთა სამინისტროში წარადგინეს შუამდგომლობა ქალ. ტფილისის საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების კომიტეტის დებულების პროექტის დამტკიცების შესახებ. დებულების პროექტის თანახმად კომიტეტი სდგება იმ საკითხთა გამოსარკვევად, რომელნიც საკრედიტო დაწესებულებათა საერთო საჭიროებას და ბანკს საქმეების მოსაწესრიგებელ ზომების გამომუშავებას ეხება. კომიტეტი ფინანსთა მინისტრის ზედამხედველობის ქვეშ იქნება. პროექტით კომიტეტის შემადგენლობაში შედიან ქალ. ტფ. ყველა მოკლე ვადიან საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლები. კომიტეტს ასარს შეადგენს საწევრო გადასახადი, თვით დაბეგვრა და ნებაყოფლობითი შემოწირულებანი.

იუსტიციის სამინისტროში

სისხლის სამართლის განყოფილების სესია

აგვისტოს პირველ რიცხვებში გაემგზავრება ტფ. საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების სესია. სესიის შემადგენლობაში შედიან საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგი ი. კურბანოვიჩი და სასამართლოს 2 წევრი. აგვისტოს 9 გაიხსნება ტფ. საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების ახალი სესია ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით.

მომარაგების სამინისტროში

ახალი წისქვილის აშენების პროექტი

მომარაგების სამინისტრომ შეიმუშავა და მთავრობას გადასცა განსახილველად ტფილისში ახალი წისქვილის აშენების პროექტი. ამ ახალი წისქვილის აშენების საჭიროებას ასაბუთებენ მით, რომ არსებული წისქვილები არ არის მოწყობილი მარცვალთა გასაწმენდათ. ახალი წისქვილი დღე-ღამეში დაფქვავს 5.500—6.000 ფუთამდე ხორბალს. წისქვილთან უნდა მოეწყოს ელექტრონის სადგური, საიდანაც ენერგია მიეცემა სამხედრო წისქვილს, ფურნეს და გასანათებლად ახლომახლო მყოფ სახელმწიფო დაწესებულებებს. განზრახულია წისქვილთან მოაწყონ ხორბლის საწყობი ავტომატიური გადმოსაზიდავებით, განზრახულია ავრეთვე წისქვილთან გაიყვანონ რკინის გზის ტოტი. წისქვილის აშენებას ფიქრობენ ავლაბარში.

შინაგან საქ. სამინისტროში

დუხობორების საზ—ების მმართველი

საქართველოს დუხობორების საზოგადოებამ შინ. საქმეთა სამინისტროს მმართველი თხოვნით, რომელშიაც აღნიშნავდა, რომ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრაში სუხოვრობს ვინმე ალა ალიბეგ ბოზბეკოვი, რომელიც ოსმალეთის შემოსვლის დროს ითვლებოდა სოფ. გორელოეს ბოქაულად და ძარცვავდა და ანადგურებდა მცხოვრებთ. დუხობორები ითხოვდნენ ბოზბეკოვის სამართალში მიცემას. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოიძია ეს საქმე, დაამტკიცა, რომ ბოზბეკოვი მართლაც მავნე ელემენტი ყოფილა. ბოზბეკოვი დაატუსაღეს და ბრძანება გასცეს მიიღონ ზომები დუხობორების ასანაზღაურებლად.

მიწათ-მოქმ. სამინისტროში

საბალნო სკოლა

მთავრობის დადგენილების თანახმად მიწად-მოქმედების სამინისტრომ გაგზავნა სპეციალური კომისია ყოფილი კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბალნო სკოლის ჩასაბარებლად. კომისიას თავმჯდომარეობს მცხოვრებია აგრონომიული დახმარების სექციის გამგე ავალიშვილი.

ბათომის ბოტანიკური ბაღი

სასოფლო მეურნეობის განყოფილება ბოტანიკური ბაღის პირადი შემადგენლობისა და სამეურნეო ოპერაციების დასაფარავად, ბაღის (კოლხიდის) განყოფილებისა და სანერგეს შესანახად ამ უახლოეს ორი თვის განმავლობაში 3.110.000 მან. თხოულობს.

ტყეების ექსპლოატაცია

სატრანსპორტო საზოგადოება „როსიისკი ლოიდ“ შეეკითხა მიწად-მოქმედების სამინისტროს თუ რაოდენი რიცხვი ხე-ტყისა შესაძლებელია გაიტანონ საზღვარ-გარედ. უკვე მიღებულ ცნობების თანახმად შესაძლებელია გატანილ იქნეს 31 ვაგონი ნაქვისა და ფიჭვის ხე ტყისა, რომელიც დამზადებულია ბორჯომში და 10.000 ფუთი სხვა გვარი სატყეო მასალისა. არსებული სტატისტიკური ცნობებით გასული ნახევარი წლის განმავლობაში ხე-ტყის საშენი მასალა გაიტანეს ადერბეიჯანში 105.000 მან., სომხეთში 370 ათასი მან. და ბათომით საზღვარ-გარეთ 300.000 მან. მიწად-მოქმედების სამინისტროში მუშავდება პროექტი კონცესიისა „ცენტროსოიუზიდან“ 10.000 დესეტინა ორი საგარაკო ადგილის ექსპლოატაციის შესახებ, რომელიც იმყოფება ბათომიდან 40 ვერსის მანძილზე.

დამფუძნებელი კრება

28 ივლისის სხდომა

თავმჯდომარეობს **ს. მდივანი.**

განგრძობა მსჯელობისა 1919—1920 წლის ბიუჯეტის შესახებ.

შენგელაია. ბიუჯეტის განხილვა არ შეიძლება იყოს მშრალი და აკადემიური. ბიუჯეტის განხილვა არის პროცესი, სადაც ბრალდებულთა სკამზე ზის მთავრობა და მას უნდა ასამართლებდეს დამფუძნებელი კრება, თუ გარეშე. ომი სახელმწიფოს ეგზამენი არის, ბიუჯეტი მაჩვენებელია სახელმწიფოს საქმიანობის. როდესაც გამოვაცხადეთ დამოუკიდებლობა, მთავარი არგუმენტი ჩვენი მტრებისა იყო ის, რომ გვეუბნებოდენ ვერ გაუძლებთ თქვენ ხარჯებს, ფინანსიურათ შეუძლებელია საქართველომ იარსებოსო. ჩვენი სახელმწიფო არც ისე ღარიბი ყოფილა, როგორც მტრებს ჰგონიათ. ორ მილიარდზე მეტი დიახარჯა და მაინც ვარსებობთ. სახელმწიფოს ამშენებლობის დროს ყოველივე კაპეიკს მნიშვნელობა აქვს და იგი მიზან შეწონილად უნდა იხარჯებოდეს, ხელ გაშლილობას არ უნდა ჰქონდეს ადგილი. აქ იძახიან ჩვენში პროლეტარიატის დიქტატურა არისო. თუ ეს ასე არის, საჭიროა განვიხილოთ რა პოლიტიკას აწარმოებდენ ამ გარდამავალ ხანაში. სამი წელიწადია, რაც ვარსებობთ დამოუკიდებლათ და ამ ხნის განმავლობაში არც ერთი სოციალის ტური ნაბიჯი არ გადადგმულა. პარიზის კომუნამ მცირეოდენ ხნის განმავლობაში გააკეთა ის, რასაც თქვენ წლობით ვერ აკეთებთო. მან გააუქმა მუდმივი ჯარი, ეკლესია გამოყო სახელმწიფოსაგან, ქარხანა-ფაბრიკები გადასცა მუშებს.

თუ აქ პოლიტიკაში გაბატონებულია მუშათა კლასი, სამაგიეროთ ეკონომიკაში სრული მონა არის იგი. ყოვლად შეუძლებელი არის, რომ მუშათა კლასის გაბატონების დროს არ დაგენგრიათ ბურჟუაზიული საძირკველი, არ შეხებოდით კერძო საკუთრებას. აქ პირიქით ამტკიცებენ კერძო საკუთრების მინიმუმიც კი არ განგიხორცილებიათ, არ იქნა გატარებული მიწის მუნიციპალიზაცია, არ დაწესდა ხელფასის მინიმუმი, ეკლესია არ არის გამოყოფილი სახელმწიფოდან.

სოციალ-დემოკრატიას ფორმულა არა დემოკრატიზმით—სოციალიზმისაკენ. ეკონომიურათ რომ ვილაპარაკოთ ეს არის კაპიტალიზმით სოციალიზმისაკენ. ფინანსთა მინისტრმა კ. კანდელაკმა ფინანსიურ-ეკონომიური გეგმა წარმოადგინა. რას მოითხოვს ის? როგორ ესმის ეკონომიური განჯანსაღება? მისი აზრით არ არის ხელსაყრელი ამ ჟამად სახელმწიფოსათვის წარმოების აღება ხელში. კერძო ინიციატივას ფართო ასპარეზი უნდა მიეცეს. გზა უნდა გაეხსნათ უცხო კაპიტალისტებსაც და მათთვის უფლებრივი ნორმები გააფართოვონ: სოც.-დემ. იზიარებს ადამ სმიტის მოძველებულ თეორიას, რომ სახელმწიფო ცუდი მეურნეაო და ამიტომაც ეშინიანთ კოლექტიურ წარმოების. თუ ვერ აიღებთ ხელში წარმოებას, მაშინ როგორღა უნდა მართოთ სახელმწიფო. სოც.-დემოკრატია დიდათ აზვიადებს კაპიტალისტის როლს წარმოებაში. შემდეგ ეხება რა ბიუჯეტს აღნიშნავს, რომ იგი ელემენტალურ მოთხოვნილებასაც არ აკმაყოფილებს. მაგალითად არ არის დაცული მთლიანობა კასისა, სპეციალიზაცია კრედიტის (იდგილიდან: ჩამორჩენილი აზრია). კასის მთლიანობის დაცვა ეს აუცილებელი მოთხოვნილება არის. ამ მხრივ ვიმყოფებით პირველ ყოფილ მდგომარეობაში. ყოველ სამინისტროს ჰქონდა თავის კასა და ეს კი საზიანოა. სახელმწიფო კანტროლმა ამას მიაქცია ყურადღება თავის მოხსენებაში.

ერთი მიზეზი გასავალის სიდიდისა არის ის, რომ ვერ მოხდა მართვა-გამგეობის გამარტივება, უწყებებში ბიროკრატიზმი არის გამეფებული და უსისტემოთ იხარჯება ფულები. უწყებები კანტროლის შენიშვნის ყურადღებას არ აქცევენ და არც აძლევენ ხშირათ პასუხს შეკითხვებზე. როდესაც შეიკრიბა დამფუძნებელი კრება, ევ. გეგეჭკორმა წაიკითხა მთავრობის დეკლარაცია, რომლითაც გვპირდებოდენ რევოლიუციის გაღრმავებას და მის მონაპოვართა შენარჩუნებას. ეს არ იქნა შესრულებული. შემდეგ ამისა ორატორი აღნიშნავს, რომ მთავრობა ჩვენს წინაშე არ აგებს პასუხს, ირღვევა კანონები: მაგალითად კანონი შეუთავსებლობის, ტყის კანონი და სხვა. სიტყვის დასასრულს ორატორი აცხადებს, რომ ესერები წინააღმდეგ ვართ წარმოდგენილ ბიუჯეტისა.

თედო ღლონტი (ს. ფ.). სამი წელიწადია რაც არსებობს ჩვენი სახელმწიფო დამოუკიდებლათ, მრავალ ერი ამ დიდ ისტორიულ პროცესის დროს განთავისუფლდა. ჩვენმა ერმაც ამ დიად ისტორიულ ხანაში მოიპოვა თავისი ეროვნული თავისუფლება. ქართველმა ხალხმა უნდა დაუმტკიცოს ყველას, რომ მას აქვს უნარი მართოს დამოუკიდებლათ თავისი სახელმწიფო და ის ძალა რომელიც განაგებს დღეს საქართველოს უნდა ადგეს იმ აზრს, რომ ჩვენი ერის თავისუფლება მარადიულ უნივერსალურ ხასიათისაა და მისი გამაგრება უნდა იყოს მოქმედების მთავარი მიზანი. წარმოდგენილ ბიუჯეტის პატრონი სახელმწიფო ვერ იარსებებს, მაგრამ ამაში ბრალი ჩვენ სახელმწიფოებრივ იდეას კი არ მიუძღვის, არამედ იმ ძალას, რომელიც უდგას სათავეში ჩვენ სახელმწიფოსო. ბიუჯეტში უნდა იყოს მოშავლის პერსპექტივები, უნდა ნაჩვენები იყოს ის ახალი გზები, რომლითაც სახელმწიფოს სურს წინსვლა და გამაგრება ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობის. ჩვენ აუცილებელ საჭიროებათ მიგვაჩნია კანტროლის მოხსენება და იმ პერსპექტივების აღნიშვნა, რომელიც სახელმწიფოს დასახული აქვს. უნდა იყოს ახსნილ-განმარტებული რა არის მიზეზი დეფიციტისა და ნაჩვენები უნდა იყოს ის ზომები, რომლებიც გამოასწორებენ კრიტიკულ მდგომარეობას, როგორც გასავალი აგრეთვე შემოსავალი პარაზიტულ ხასიათის არის. ყველაზე მეტი იხარჯება სამხედრო საჭიროებაზე. სახელმბრ 538,791,633 მ. პირდაპირი გადასახადი აწვება მუშათა კლასს და ღარიბ ელემენტებს, ეს კი უნდა დაეკისროთ იმ პარაზიტ ელემენტებს, რომელთაც დიდი შემოსავალი აქვთ. ჩვენში ერთად ერთი კატეგორია, რომელთაც დეფიციტი არ აქვთ, ეს არის სპეკულიანტური ბურჟუაზია და მთელი სიმძიმე გადასახადისა მათ უნდა დააწვეთ. რაც შეეხება არაპირდაპირ გადასახადს, ისიც ხალხის ფართო მასას აწვება შემდეგ ამისა ორატორი ეხება რა გასავალს, აღნიშნავს, რომ იმ დროს, როდესაც სამხედრო სამინისტროს დაუხარჯავს 538,791,632 მახეთი, გზათა უწყებას—417,280,812 მან., შრომის სამინისტროს მხოლოდ 1,140,550 მანეთი. შრომას, რომელსაც მთავარი ადგილი უნდა ეჭიროს ამ გარდამავალ ხანაში ასეთი ნაკლები ადგილი არ უნდა ეკავოსო. შრომის სამინისტროს მუშაობა არ იყო ნაყოფიერიო. არც დაზღვევის საკითხი, არც უმუშევრობის დროს უზრუნველყოფა და არც სარგებელში მონაწილეობის საქმე არ გაკეთებულა. შრომის სამინისტროს ხელში არც ერთი მრეწველობა არ არის და მიტომ ასეთი ჰატარა ბიუჯეტი აქვსო. საჭიროა ბურჟუაზიის ალაგმვა და ეს არც გამოიწვევს სამოქალაქო რომს, რადგანაც ის ძლიერ სუსტია და არც უნდა მივცეთ საშუალება გამაგრდესო. ჩვენი ფინანსიურ-ეკონომიური მდგომარეობა მტკიცე გახდება მხოლოდ მაშინ, როცა მთელი ვაჭრობა-მრეწველობა და აღებ-მიცემობის საქმე სახელმწიფოს ხელში გადავა.

საღამოს 11 საათზე სხდომა დაიხურა. გადაწყდა მეორე დღეს მიეცეს ღლონტს კიდევ ოცი წუთი სიტყვის დასამთავრებლად.

29 ივლისის სხდომაზე თედო ღლონტი ეხება კვლავ გადასახადებს და აღნიშნავს, რომ გადასახადების პოლიტიკა აღარ წარმოადგენს უმთავრეს ძალას სახელმწიფოს შემოსავლისას, არამედ სახელმწიფოს მეურნეობა არის წყარო სახელმწიფოს არსებობისაო და აღნიშნავს, რომ აქ ქაოტიური მდგომარეობა სუფევსო და მოხელეები ვერ სდგანან სათანადო სიმაღლეზეო.

შემდეგ ამისა ვრცელი სიტყვები წარმოსთქვეს ბ. თევზაიამ, ი. სალაყაიამ, ს. კედიამ და ს. ავალიანმა (ფინ მინ. ამხ.), რომელთა სიტყვებსაც შემდეგ მოკიყვანთ.

თავდაცვის საჭმეს

დადგენილება.

თავდაცვის საბჭომ დაადგინა: მიეცეს სამხედრო სამსახურში მყოფ ყველა 1888 და 1889 წელში დაბადებულ სათადარიგო და მოლაშქრე ჯარისკაცს ამა წლის 5 აგვისტოდან ორი თვის შვებულება და მათ ნაცვლად მოწვეულ იქნას 6 კვირის სასწავლო ყრილობაზე ყველა 1896 წელში დაბადებული მოლაშქრე და სათადარიგო ჯარისკაცი. გაწვევა მოხდეს 1-დან 5 აგვისტომდის გასაწვევ უბნების მიხედვით. სასწავლო ყრილობის ვადა ითვლება სამხედრო აღრიცხვის ნაწილის უფროსთან გაწვეულის გამოცხადების დღიდან. ამის გამო გიბრძანებთ დაიწყოთ 1 აგვისტოდან გაწვევა 1896 წ. დაბადებულ

მოლაშქრე და სათადარიგო ჯარისკაცთა, რომელნიც უნდა დაურიგოთ სამხედრო ერთეულებს გენშტაბის განაწილების თანახმად. ყველა ის პირები, რომლებიც არ გამოცხადდებიან ზემოაღნიშნულ ვადის განმავლობაში, მიცემულ იქნან პასუხისგებაში თანახმად 1919 წლის 2 აგვისტოს მიღებულ სამხედრო ბეგრის აუსრულებლობისა და ამ დანაშაულის დაფარვისა და წაქეზებისათვის დასჯის დეკრეტისა.

აგრეთვე პასუხის გებაში მიცემულ იქნან ზემოაღნიშნულ დეკრეტის ძალით ყველა 1888 და 1889 წელში დაბადებული ის სათადარიგო და მოლაშქრე ჯარის კაცნი, რომელნიც არ გამოცხადდენ მობილიზაციით ამა წლის 30 მაისამდის. 27 ივლისი 1920 წ. № 3140 მობ. ხელს აწერენ: შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი, სამხედრო მინისტრი გრ. ლორთქიფანიძე.

დამფუძნებელ კრებაში

მუშათა მაგიდა ბათომში.

დამფუძნებელ კრების შრომის კომისიამ განიხილა და მიიღო შრომის სამინისტროს მიერ შემუშავებული პროექტი დეკრეტისა ბათომში მუშათა მაგიდის მოსაწყობად ასი მილიონი მან. გადადების შესახებ. ამით სურთ მუშათა და მოხელეთა პირველ მოთხოვნილების საგნებით დაკმაყოფილება ბათომსა და მის ოლქში. პროექტი დეკრეტისა დასასკვნელად გადაეცა საბიუჯეტო საფინანსო კომისიას.

მუშათა დელეგაცია.

პროფესიონალურ საბჭოთა ცენტრალურ კომიტეტის სეკრეტარიატმა აცნობა დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმს, რომ რესპუბლიკის პროფესიონალურმა კავშირებმა გადასწყვიტეს გაგზავნონ ადერბეიჯანში სპეციალური დელეგაცია მუშებისა, რისთვისაც იგი მისგან ამ მიზნისათვის ითხოვს საჭირო თანხის გადადადებას. იმ დელეგაციის შემადგენლობაში, რომელიც გაგზავნილ უნდა იქნეს ადერბეიჯანში, შევა თითო წარმომადგენელი ყველა არსებულ პროფესიონალურ კავშირისა.

მუშათა მისალმება

დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმს თიონეთიდან შემდეგი მისალმების დეპეშა მოუვიდა: თიონეთის მაზრაში არსებულ მუშათა ყველა ორგანიზაციების ყრილობა, მოწვეული სამაზრო ერობის მუშა-მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის ინიციატივით, გიძღვნით თქვენ სალამს და იმედოვნებს, რომ უმაღლესი სახალხო საკანონმდებლო ორგანო პირველ რიგში მოაწესრიგებს მუშათა საკითხს და თვისი ენერგიული მუშაობით დაიჩქარებს ჩვენი ბრწყინვალე იდეალების ცხოვრებაში გატარებას.

შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. ბ. რამიშვილი გორის მაზრაში.

ოთხშაბათს 28 ივლისს შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. ბ. რამიშვილი, კანცელარიის დირექტორი ს. პ. გეგელაშვილის და რესპუბლიკის ადმინისტრაციის ინსპექტორის თან. ივ. ე. ქარცივაძის თანხლებით გაემგზავრა გორის მაზრაში და გორში. სადგურზე მათ შეხვდნენ სამაზრო ერობის, ქალაქის თვითმართველობის და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლები. ხსენებულ დაწესებულებათა წარმომადგენლებთან ადგილობრივ საქმეზე მოკლე თათბირის შემდეგ მინისტრი იმავე დღეს გაემგზავრა დ. ცხინვალში. აქ მას შეხვდნენ ადგილობრივ თემის, გვარდიის, ჯარის და სხვათა წარმომადგენლები. ცხინ. ვალის მთავარ ქუჩაზე ჩამწკრივებული იყვნენ სანაპირო რაზმის ჯარისკაცები. მინისტრი რესპუბლიკის მთავრობის სახელით მაესალმა ჯარისკაცებს და უსურვა მხნეობა და თავდადება მტერთა წინააღმდეგ ბრძოლაში რესპუბლიკის საკეთილდღეოდ. მის სიტყვებს ჯარისკაცები ხანგრძლივი „ვაშა“-თი შეხვდნენ. ამის შემდეგ მთავრობის მთავარ რწმუნებულ, დამფუძნებელ კრების წევრთან ლ. ელენტთან გაიმართა თათბირი, რომელსაც დაესწრნენ რაზმის უფროსი, სახალხო გვარდიის, საველე შტაბის, მაზრის და ადგილობრივი ერობის წარმომადგენლები. მინისტრი დაწვრილებით გაეცნო ამ კუთხის მდგომარეობას ოსების აჯანყების შემდეგ. როგორც გამოირკვა, მშვიდობიანობა უკვე დამკვიდრებულა, თუ არ მივიღებთ სახეში იმას, რომ ხანდისხან ჩვენს ჯარისკაცებს ესვრიან მთებში ზოგიერთი მიმალული მეამბოხეებიდან. დიდი ნაწილი იმ ადგილებისა, რომლებიც მეამბოხეებმა მიატოვეს და გაიქცნენ, უკვე დაუსახლებიან სხვა კუთხეებიდან გადმოსულ ქართველებით. გადმოსახლება უკვე გრძელდება და ამ მიკლე ხანში სრულიად დამთავრდება. მინისტრმა ფიცხელი განკარგულება გასცა, რათა არავითარ ძალადობას ან რაიმე სხვა უკანონობას, ადგილი არ ქონდეს არავისადმი, ვინც გინდა იყოს იგი და რა ეროვნებასაც არ ეკუთვნოდესო. ყველა ისინი, ვინც ასეთ რამეს ჩაიდენს პასუხისგებაში უნდა იქნას მიცემული და სასტიკად დასჯილნი. წამოსვლისას მინისტრს მოდანზე შეხვდნენ ადგილობრივი მცხოვრებნი, რომლებთაც მინისტრმა მოკლე სიტყვით მიმართა: „იმ ამბების შემდეგ, რომელსაც ადგილი ჰქონდა და რომელთა მოწამენი თქვენ გახდით,—განაცხადა მინისტრმა,—ალბად ყველამ დაინახა, თუ რანაირი სისასტიკით და სიმკაცრით იბრძვის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მტერთა წინააღმდეგ, წინააღმდეგ ყველა იმათი, რომლებიც ლამობენ მის (რესპუბლიკის) ამბოხებით, შიგნით აფეთქებით მოსპობას. ჩვენი რესპუბლიკა იმიტომ არის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომ იგი ერთნაირად იცავს ყველა თვისი მოქალაქის, განურჩევლად ეროვნების და სარწმუნოებისა, ინტერესებს. მაგრამ ამავე დროს იგი ერთნაირად დასჯის ყველას, ვინც მოისურვებს და მოინდომებს აჯანყებებით და შინაური ომის საშუალებით სისხლში ჩახრჩობას მშრომელი ხალხის მიერ შექმნილ რესპუბლიკასა. მე, იმედს გამოვსთქვამ, რომ ამის შემდეგ არავითარ ასეთ სამწუხარო მოვლენას ადგილი არ ექნება და მთავრობა თქვენთან ერთად სამუდამოდ მშვიდობიანობასა და წესრიგს დაამკვიდრებს, რაც საშუალებას მისცემს ჩვენს ქვეყანას განვითარდეს და სათანადოთ მოემზადოს უკეთეს მერმისისათვის“. მინისტრის სიტყვებს ხალხი აღრფთოვანებით შეხვდა და მადლობა გადაუხადა. ამის შემდეგ მინისტრი გამოემგზავრა გორში. 29 ივლისს დილით მინისტრი ისევ ტფილისს დაბრუნდა.

ტფილისის სამაზრო ერობის მე-7 სესია

ტფილისის სამაზრო ერობის წევრთა ყრილობის მესამე სხდომაზე აგრარულ რეფორმის შესახებ ძოხსენება გააკეთა იშხანოვმა. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ აგრარულ რეფორმის გასატარებლად ტფილისის მაზრა 10 რაიონად არის დაყოფილი: ავჭალის, ასფოეთის, აღბულაღ-დიღომის, საგარეჯოს, სართიჭალის, მანგლისის, თელეთის, ჩრიუტის და ყარაიაზის რაიონებად. უკანასკნელი რაიონი მიწად-მოქმედების სამინისტროს განკარგულებაში გადავიდა, ასე რომ ერობის განკარგულებაში 9 რაიონი დარჩა. სულ რაიონში ჩამორთმეულ მიწების რაოდენობა 43.489 დეს. 2.09653 საჟ. უდრის. ამ რიცხვიდან კარგი მიწა აღმოჩნდა 2.310 დეს. 210 კვ. საჟ. მთელი მიწა ხარისხის მიხედვით სხვა და სხვა კატეგორიათ არის დაყოფილი. მთელ მაზრაში მიწის ნორმის გამოყოფა დასრულებულია. 225 მესაკუთრეთათვის გამოყოფილია 5. 436 დეს. 1340 კვ. საჟ. ამასთანავე მიწების შეფასება დასრულებულია. შემდეგ მომხსენებელმა წარმოადგინა ცნობები ღალის აკრების შესახებ. ღალის შესაკრებად სხვა და სხვა რაიონში სათანადო აგენტები დაინიშნა. მთელ მაზრაში 6.687 ფუთი 51 გირ. ხორბალი და 28.890 ფ. თივა ღალა შეიკრიბა. აქედან ერთი ნაწილი იმყოფება ტფილისის ერობის საწყობებში, მეორე ნაწილი გადაეცა მიწად-მოქმედების სამინისტროს, ნაწილი კი ღარიბებს დაურიგდათ. საფონდო მიწების დამუშავებისათვის საჭირო გადასახადის სახით შეკრებილია 243129 მან. დანარჩენი თანხა კი ნატურით არის შეკრებილი. მოხსენების განხილვის შემდეგ შემდეგი რეზოლუცია მიიღეს: 1) აგრარულ რეფორმის გატარების დროს მიღებული უნდა იყვეს ზომები, რათა გლეხთა შორის მიწები საჩქაროთ განაწილდეს, 2) აღიძრას შეამდგომლობა მიწათ-მოქმედების სამინისტროს წინაშე გამოსასყიდ მიწების ნიხრის გადიდების შესახებ. 3) მიღებული იქნას ენერგიული ზომები ღალის შესაკრებად. 4) მიენდოს გამგეობას თემებში ღალების შეკრების რევიზია მოაწყოს და სხ.

ერობა

სამაზრო ერობის მეშვიდე სესია.

სესიის მეორე სხდომაზე მოისმინეს სარევიზიო კომისიის მოხსენება გამგეობის მოქმედების შესახებ, რის შემდეგაც სესიამ სამაზრო ერობის 1920-21 წ. ბიუჯეტი განიხილა. ხმოსანთა ყრილობამ, აღიარა რომ ბიუჯეტის საკითხი მეტად რთულია, დაადგინა მის დამტკიცებამდე იგი განიხილონ საგანგებო კომისიაში, რომელმაც ბიუჯეტის პროექტს შესახებ თავისი დასკვნანი უნდა წარმოადგინოს. კომისიაში შევიდა სამაზრო ერობის 6 წევრი, ერობის გამგეობის 2 წევრი, მთავარი კონტროლიორი და მოსამსახურეთა კავშირის წარმომადგენელნი. შემდეგ მოისმინეს მთავარ კონტროლიორის მოხსენება გამგეობის მოქმედების შესახებ.

ერობათა კავშირი.

ერობათა კავშირის წარმომადგენელი, რომელიც ბაზრის შესასწავლად ბათომში იყო წასული იუწყება, რომ ბათომში ყოფნის დროს ცენტრალურ შესაკეთებელ სახელოსნოებისათვის მან შეიძინა რამდენიმე მილ. მანეთის ტეხნიკური მოწყობილებანი ამასთანავე ბათომის ნავთსადგურების სამმართველოსთან მოხდა შეთანხმება ერობის საჭიროებისათვის საწყობების დათმობის შესახებ. ამიტომ ბათომში გაიხსნება ერობათა კავშირის ფილიალური განყოფილება, რომლის მოვალეობაც იქნება შეძენილ საქონლის ერობათა შორის განაწილება.

უცხოეთი

(საინფორმაციო ბიუროს ცნობები)

რუსეთის ეკონომიური მდგომარეობა.

სახელმწიფო სათათბიროს ყოფ. წევრმა ბ. ენგელგარდტმა „სტოკბოლშ,“ დაბეჭდა წერილი რუსეთის ეკონომიური მდგომარეობის შესახებ. ავტორი აღნიშნავს, რომ ბალტიის პირის პროვინციებისა და პოლონეთის დაკარგვის შემდეგ რუსეთის შინაური საქონლის აბსოლიუტური რიცხვი 40% შემცირდა. ამის გამო რუსეთს თითქმის სრულებით არა აქვს შესაძლებლობა, რომ უცხო ბაზარზე მატყლი გაიტანოს. სრულებით განადგურებულია არაყის წარმოება. შაქრის წარმოება, რომელიც წელიწადში 2.105 მილიონ ფუთს იძლეოდა ეხლა სულ ბევრი 20 მილ. ფუთ შაქარს იძლევა. უკეთეს მდგომარეობაშია ხელის წარმოება და ნავთის მრეწველობა, რადგანაც ნავთი ბევრია ადერბეიჯანში. ნავთის შოვნა ბოლშევიკების ხელში მეტად შემცირდა. აგრეთვე მეტად დაეცა თუჯის წარმოება.

რიგის ნავთსადგური.

რიგის ნავთსადგურმა დაიწყო მოქმედება. თანახმად სტატისტიკურ ცნობებისა. აპრილის განმავლობაში რიგის ნავთსადგურით 42 მილიონ მანეთის საქონელი შემოუტანიათ. გაუტანიათ კი 82 მილ. მანეთისა. აქედან 61 მილ. მან. სელი არის გატანილი.

ედუარდ შნაზე.

„ილ სოლე“ იუწყება კიშინოვში რუმინეთის მეფისა და დედოფლის მისვლის რამოდენიმე დღის წინ, დაიჭირეს ედუარდ შნაზე, რომელიც გამოგზავნილი ყოფილიყო მოსკოვიდან რუმინეთში ბოლშევიკურ აგიტაციის საწარმოებლათ. შნაზეს უნახეს აუარებელი ფული, პროკლამაციები ყველა ენაზე დაბეჭდილი და დინამიტი. აგრეთვე იასაში დაატუსალეს რამოდენიმე კომუნისტი.

ბოლშევიკები და სპარსეთი.

„ბოსფორი“ სწერს: ბოლშევიკები წავიდენ სპარსეთიდან, რითაც ქემალ-ფაშასთან დადებულ საიდუმლო ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლი დაარღვიეს. ბოლშევიკური მუქარა დროებით გაქრა აზიიდან.

პოლონეთი და ლიტოველები.

„ლვოვის კურიერი“ იუწყება, რომ გროდნოს გუბერნიის ჩრდილოეთის საზღვარზე პოლონელებსა და ლიტოველთა შორის შეტაკებანი დაიწყო. ლიტოველები უკუ აგდეს დიდი დანაკლისით.

ვრანგელის დელეგაცია.

გენ. ვრანგელის მთავრობიდან გენერალ გლაზენკოს მეთაურობით ვარშავში მოვიდა დელეგაცია.

საერთაშორისო კომისია.

საერთაშორისო კომისიამ, რომელიც არკვევდა საზღვრებს ჩეხო-სლოვაკიასა და რუმინეთს შორის, დასრულა თავისი მუშაობა. ჩეხო-სლოვაკიის საზოგადოების აზრით, ეს საზღვარი უფრო დააკმაყოფილებს რუმინეთს, ვიდრე ჩეხო-სლოვაკიასო.

დანიის მთავრობა.

დანიის მთავრობამ გადასწყვიტა გააუქმოს ყოველგვარი შეზღუდვა საქონლის გატანაზე.

ფინეთში.

ფინეთის მთავრობის რწმუნებულებით პოლონეთში მოვიდა ფინეთის ელჩი კარლ ჰილენბეგელი.

გლეხთა ყრილობა

სევასტოპოლში გენ. ვრანგელის განკარგულებით მოხდა გლეხთა ყრილობა. ამ ყრილობაზე გამოაქვეყნეს ფულის რეფორმის პროექტი. ამ პროექტის თანახმად უნდა გამოუშვან ახალი ქაღალდის ფულები, რომელიც ხორბლის მომარაგებით იქნება უზრუნველყოფილი. არსდება სახელმწიფო ხორბლის ფონდი.

იტალიის პოლიტიკურ საგენტოს რადიო ცნობები.

ბერლინი.

„სიურ მერი“ იუწყება, რომ ლოიდ ჯორჯი და მილიერანი ერთმანეს შეხვდენ ბუღონში რუსეთის პრობლემის გადასაწყვეტადო.

პარიზი.

დეპუტატთა პალატამ ბულგარეთთან დადებული საზავო ხელშეკრულება დაამტკიცა.

ვარშავა.

გენერალური შტაბი იუწყება, რომ პოლონეთის ქვეითა ჯარი მოპირდაპირის ძლიერ შემოტევის გამო ფრონტის სხვა და სხვა მიმართულებით უკან იხევსო. უკან დახევა ხელსაყრელ პირობებში ხდება.

ათინა.

ადრიანოპოლი დაგვნებდა. ამით ყველა ოპერაცია დასრულდა. გუშინ ტრიესტში ბასერთა მთავარი ბრიგადა მოვიდა. ბრიგადა ტრიესტს გარნიზონიდან არის დანიშნული. ბრიგადას დახვდა აუარებელი ხალხი, რომელმაც მხურვალე ოვაციები გაუმართა მას და ყაზარმამდე მიაცილა.

პარიზი.

ელჩების საბჭომ მიიღო დეპუტატი პავია, რომელიც დანიშნულია იმ კომისიის თავმჯდომარედ, რომელიც მარიენვედერერში პლებისციტს ახდენს. პავიის მოქმედება მოიწონა საბჭომ.

საბერძნეთი და სომხეთი

საბერძნეთის გენ. შტაბის პოლკოვნიკმა კატენესტიმსმა ინახულა სომხეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე და მთავარსარდალი გენ. ნაზარბეკოვი. საბერძნეთის წარმომადგენელის საპატივცემულოთ გაიმართა ბანკეტი, რომელზედაც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა სომხეთსა და საბერძნეთს შორის არსებული მტკიცე მეგობრული განწყობილება. საბერძნეთის წარმომადგენელმა თავის პასუხში იმედი გამოსთქვა, რომ მომავალში საბერძნეთსა და სომხეთს შორის მეგობრული კავშირი უფრო განმტკიცდება.

გერმანელები და პოლონეთი

27 ივლ. მოსკოვი. გერმანიის სარდლობამ ბრძანება გასცა პოლონელების ჯარის განადგურების შესახებ იმ შემთხვევაში, თუ პოლონელები გერმანიის ნეიტრალიტეტისადმი პატივსცემას არ გამოიჩენენ.

პირდაპირი მიმოსვლა ბაქოს და მოსკოვს შუა

ბაქოსა და მოსკოვს შორის პირდაპირი მიმოსვლა წესდება.

ოსმალეთის საზავო ხელშეკრულება

საფრანგეთის პრესა აცხადებს: ხუთშაბათს ივლ. 29 ხელს მოაწერენ ოსმალეთის ხელშეკრულებასაო.

ევროპის მცხოვრებთა რაოდენობა

ივლ. 27 დანიის სოციალი-სტატისტიკოს ქრისტიან ლერინგეს ცნობით ევროპის მცხოვრებთა რაოდენობას 1914 წლ. აგვისტოდან 1919 წლის ზაფხულამდე დაუკლია 35 მილიონი კაცით. აქედან 20 მილ. ბუნებრივი დეფიციტია, 15 მილიონი კი ბრძოლის ველზე დახოცილა. ქალთა რაოდენობა ომის შემდეგ მამაკაცების რაოდენობას აღემატება 15 მილიონით, წინააღმდეგ 5 და 2 მილიონისა ომამდე. გერმანიაში დაბადებულთა რიცხვმა 5 წლის განმავლობაში დაიკლო 3 მილიონით, სიკვდილის რაოდენობა გაიზარდა 27 მილიონით. საფრანგეთში დაბადებულთა რაოდენობა შემცირდა 1.840,000, საერთო შემცირება 3,540.000 უდრის.

საბერძნეთის მისიის ცნობა

აღმოსავლეთ ფრაკიის ოკუპაცია, რომელიც ისე კარგად დაიწყო ადრიანოპოლის დაკავებით სასურველად მიმდინარეობს. ოკუპაცია ამ დღეებში დასრულდება. ტაირის მიმდევართა წინააღმდეგობა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, მეტათ უმნიშვნელოა.

პარიზში ნეიტრალურ სახელმწიფოთა სხვა

და სხვა ორგანიზაციებმა სასტუმრო „ილუტეციაში“ სომხეთის დელეგაციის საპატივცემლოთ საუზმე გამართეს. საუზმეს დაესწრო მრავალი სენატორი და საფრ ნგეთის პარლამენტის დეპუტატი, აგრეთვე პარიზში მყოფი უცხო გაზეთების კორესპოდენტები, წარმოითქვა სიტყვები. სომხეთის დელეგ. თავმჯდომარე აჰორონიანმა სხვათა შორის სთქვა: ქება და დიდება საბერძნეთს, რომელმაც ურწმუნო ევროპას აჩვენა ქემალ ფაშის მარიონეტკების კომიკური ძალა. ოსმალეთის საგარეო საქ. მინისტრის მოადგილე რუშიდ ბეიმ ანატოლიაში საბერძნეთის ჯარის შესვლის შესახებ განაცხადა: არ შეიძლება უარ ვყოთ რომ საბერძნეთის ჯარის მოქმედება, მუსულმან მცხოვრებთა მიმართ სამაგალითო იყოო. სკანდინავიისა და შვეიცარიის ზოგი პოლიტიკური ორგანიზაცია უმაღლეს საბჭოს წინაშე წარსდგა თხოვნით, რათა დაჩქარებულ იქნეს სომხეთის საკითხის გადაწყვეტა.

ახალი ამბები

✦ მუშათა დელეგაცია. ქალაქის საერთო საავადმყოფოს კასის გამგეობამ მიმართა საქართველოს პროფ. კავშ. ცენტრალურ საბჭოს თხოვნით, რომ იმ მუშათა დელეგაციაში, რომელიც ადერბეიჯანში და საბჭოთა რუსეთში გაიგზავნება იქაურ მუშების მდგომარეობის გასაცნობად, იქნეს ჩარიცხული ტფილისის საავადმყოფო კასის წარმომადგენლებიც. საავადმყოფოს კასას განზრახული აქვს ამ გზით გააცნოს საბჭოთა რუსეთს საქართველოს დაზღვევის პოლიტიკა და თავის მხრით გაეცნოს, თუ როგორ სწყვეტს რუსეთი სოციალურ დაზღვევის საკითხს.

✦ ნიხრი მარილზე. ქალაქის სასურსათო კომისიამ დაადგინა დააწესოს მარილზე შემდეგი ნიხრი: ფხვნილი მარილი გირვანქა 8 მან., დაუფხვნელი 7 მან.

✦ კვერცხების დამზადება. სასურსათო განყოფილება შეუდგა ტფილისის მცხოვრებთა საჭიროებისათვის კვერცხების დამზადებას. ჯერ ჯერობით შესყიდულია 150.000 კვერცხი. ამ მოკლე ხანში შესყიდულ კვერცხებს სასურსათო განყოფილებას ჩააბარებენ.

✦ შეშის დამზადება. თანახმად ქალაქის თვითმართველობის ცნობებისა, შეშის დამზადება კარგად მიმდინარეობს. მიღებულია ზომები, რათა შესყიდული შეშა სასწრაფოთ იქნეს შემოტანილი ტფილისში. შეშის პირველ პარტიას ტფილისში ამ დღეებში შემოიტანებენ.

✦ ჯამაგირის დროზე მიუღებლობა. შრომის სამინისტროს მოსდის მრავალი განცხადება პროვინციის სხვა და სხვა დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეთაგან ჯამაგირის დროით მიუღებლობის შესახებ. ამის გამო შრომის სამინისტრომ ცირკულიარით მიმართა ყველა დაწესებულებათ, რათა მათ საჩქაროთ ზომები მიიღონ მუშა-მოსამსახურეთათვის ჯამაგირის დანიშნულ ვადაზე მიცემის შესახებ.

✦ დახმარება ბათომში მუშებს. ბათომში გაემგზავრა შრომის სამინისტროს საქმეების მართველი გოლდმანი. მისი მიზანია დაჩქარებით მოაწყოს მუშათა და მოსამსახურეთა პირველ საჭიროების საგნებით უზრუნველყოფის საქმე.

✦ მარგანეცის ექსპორტი. ივლისის 28, რკ. გზ. სამმართველოში გზათა უფროსი ა. გ. კანდელაკის თავმჯდომარეობით გაიმართა თათბირი. განიხილეს ჭიათურიდან ფოთამდე და ბათომამდე შავის ქვის გატანის გადასახადის შეცვლის საკითხი. თათბირს დაესწრენ „ჩემოს“ საზოგადოების, შავი ქვის მრეწველთა საბჭოს, სახ. ბანკის და სხვა წარმომადგენლები. „ჩემო“-ს თავმჯდომარემ, ბ-ნ ჟურულმა, აღნიშნა ის დაბრკოლებები, რომლებიც არსებობს ამ ჟამად რკინის გზებზე შავი ქვის გადასატან ფულის გადახდის დროს. საკითხის განხილვის შემდეგ თათბირმა დაადგინა: სახელმწიფო ბანკში სახ. „ჩემოს“ გაეხსნას მიმდინარე ანგარიში, ტექნიკური მხარე და სხვა დეტალები უნდა გამოშუშავდეს სახ. ბანკთან და „ჩემოს“ საზოგადოებასთან, გზათა სამმართველოსთან და სახ. კანტროლთან ერთად.

✦ მარგანეცის გატანა. გზათა მიმოსვლის დეპარტამენტმა შრომის მინისტრს მიმართა განცხადებით, სადაც აღნიშნავს: ჭიათურის მარგანეცის გატანა ყოველ დღე იზრდება, ფოთში ყოველდღიურად იცლება 50—70 ვაგონი, აგვისტოში კი საჭირო იქნება დღეში 100 ვაგონის დაცლა, ამიტომ გთხოვთ მიიღოთ ყველა შესაძლებელი ზომა, რათა რაც შეიძლება გაძლიერებულ იქნეს მარგანეცის გადმოსატვირთავი მუშაობა.

✦ კვერცხანის სპილენძის ქარხანა. კვერცხანის სპილენძის ქარხნის (ართვინის ოლქშია) დირექციამ მიმართა ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრს მათთვის 12 მილ. მან. მოკლე ვადიან სესხის მიცემის შესახებ. ეს თანხა დაიფარება სათანადო რაოდენობის სპილენძის მთავრობისადმი გადაცემით. შუამდგომლობაში სხვათა შორის აღნიშნულია: გადასამუშავებლად დამზადებულია მადნეული 40 მილ. ფუთამდე, რომელშიც სპილენძის საშუალო შემადგენლობა უდრის 4%. ქარხნის წლიური ნაყოფიერება უდრის ასი ათას ფუთ წმინდა სპილენძს. დირექცია აღნიშნავს, რომ სპილენძის მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება გამოტანილ იქნეს როგორც სავალიუტო საქონელი. ამასთანავე კვარცხანის ქარხანაზე განზრახულია თაგვის შაქრის დამზადება. ამ შუამდგომლობას მხარს უჭერს სავაჭრო-სამრეწველო პალატა.

✦ სასამართლო პალატაში. ტფილისის სასამართლო პალატის პროკურორი მ. ა. ტატიშვილი დაბრუნდა შვებულებიდან და თავის მოვალეობის აღსრულებას შეუდგა.

✦ საზღვრო ერობის ნ�დ დე ხეია. საზღვრო ერობის ხმოსანთა ყრილობის 26 ივლისის სხდომაზე მოხსენება გააკეთა საფინანსო კომისიის წევრმა ჯიგაურმა. თანახმად მოხსენებისა მოსამსახურეთა შტატი იყოფა 8 კატეგორიათ, ამასთანავე ინსტრუქტორები პირველ კატეგორიაში არიან შეტანილნი. ინსტრუქტორების მოვალეობას შეადგენს თემების ხელმძღვანელობა და მათთვის სამაზრო ერობის მუშაობის გეგმის გაცნობა. შემოღებული იქნება აგრეთვე კატეგორიის გარეშე მდგომი მოსამსახურეები, რომელთა რიცხვშიც შევლენ გამგეობის წევრნი, კონტროლიორი 1, სასურსათო განყოფილების გამგენი და სხვ.

✦ ტელეფონი ტფილისსა და აბასთუმანს შორის. ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველო ტფილისს და აბასთუმნის შორის ტელეფონის მუშაობის დაწყების შესახებ იუწყება: კერძო პირთ ტელეფონით სარგებლობა შეუძლიანთ შემდეგ საათებში; დილით 9—11 ს. დღისით 2—4 საათ. და საღამოთი 6—8 ს.

სომხეთი და ადერბაიჯანი.

ყარაბახის სომეხთა სათვისტომოს საბჭოს წარმომადგენელმა ერზიკიანმა და პირუმოვმა მიმართეს ორჯონიკიძეს დეპეშით, რომელშიც აღნიშნულია, რომ ყარაბახი და ზანგეზური დასახლებულია მხოლოთ სომხებით და ამიტომ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მათი ადერბაიჯანთან შეერთებაო. გლეხთა ყრილობები ამაზე კატეგორიულ უარს აცხადებენ. ზანგეზურის და ყარაბახის მშრომელი გლეხობა იარაღით ხელში იბრძოდა ოსმალთა იმპერიალისტების და მუსავატების წინააღმდეგ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავათ. ამ ჟამად ჩვენ ვითხოვთ და აუცილებლად მიგვაჩნია რომ ადერბაიჯანის საბჭოთა მთავრობამ თავი შეიკავოს მთიან ყარაბახის მიდამოებში ჯარის შეყვანაზე და გაგზავნოს იქ ნეიტრალური კომისია გლეხთა ნება სურვილის გასაგებათ და ამისდა მიხედვით გადასწყვიტოს ყარაბახის საკითხი. ორჯონიკიძემ უპასუხა, რომ ყარაბახში ადერბაიჯანის ჯარი შეცვლილი იქნება რუსულ ნაწალებითო.

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

საქართველოს სახაზინო რკ. გზათა სამმართველო

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 2 აგვისტოს დილის ათ საათზედ ტატიანის ქუჩაზე № 11, გაიყიდება საჯაროდ არქივის ქაღალდები 790 1—1

1920 წ. მაისის 19-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა ჩანიშნა სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში გორის მაზრისა, ნასყიდობის მოწმობა შემზადებული ცხინვალის ნოტარ. გოცირიძისაგან 8 მაისს 1920 წელს, რომლითაც ანნა იოსების ასულმა ელიოზოვისამ შეიძინა საჯარო ვაჭრობიდან 1 ნოემბერს 1893 წელს მოხდენილი ცხინვალის სასამართლოს მიმრიგებელ უბანში 22 მანეთათ ნაკვეთი მიწა ზომით 5 დესეტინა მდებარე ქალაქ ცხინვალში, რომელიც ეკუთნოდა ივანე ანდრიას ძე ელიოზოვს. 1116 3—1

1920 წ. მაისის 19-ს დღესა, ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა, ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქალაქე გერმან ნესტორის ძე ლომიძემ მიჰყიდა 80,000 მანეთათ მოქალაქე მარიამ ფედორის ასულს (იგივე მაკოვნა) ჭიჭინაძისას ნაწილი ნაკვეთი მიწის ზომით 84 ოთხკუთხიანი საჟენი მდებარე მე-8 ნაწილში ქალაქ ტფილისში ქალაქის № 943. 1109 1—1

1920 წ. მაისის 19-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი რომლითაც მარია ბაგდანის ასულმა გაუფმა მიჰყიდა ელიზა იაკოფის ასულს ტამარაშვილს 150,000 მანეთათ ნაწილი ნაკვეთი მიწის, ზომით 268 ოთხკუთხიანი საჟენი, მდებარე მე-10 ნაწილში ქალაქ ტფილისში, ქალაქის № 87. 1114 1—1

1920 წ. მაისის 17-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ელენე ყაზარის ასულმა აგასიანცისამ მიჰყიდა სერგეი ივანის ძე არუთინოვს უძრავი მამული, მდებარე 10 უბ. ქალაქ ტფილისში, ქალაქის № 191, ზომით 169 ოთხუთხიანი საჟენი 325,000 მანეთათ. 1022 1—1

1920 წ. მაისის 19-ს ტფილისი უფროსმა ნოტარიუსმა დამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც დავით ტიმოფეის ძე ჩივაძემ მიჰყიდა 500 0 მანეთათ ნაწილი ნაკვეთი მიწის, ზომით 266,20 ოთხკუთხიანი საჟენი, მდებარე მე-12 უბანში ქალაქ ტფილისში ქალაქის № 332. 1097 1—1

ტფილისის უფროსი ნოტარიუსისგან იქმნა ჩანიშნული სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში გორის მაზრისა ნასყიდობის მოწმობა, შესრულებული ცხინვალის ნოტარიუსისაგან გოცირიძეს 7 თებერვალს 1920 წელსა, შეძენილი მოქალაქის გიგო ამბოროვის ძე კუმარიტაშვილმა 60 მანეთათ საჯარო ვაჭრობიდან, რომელიც მოხდა ცხინვალის მომრიგებელ მოსამართლეს უბანში 30 თებერვალს 1916 წელსა მიწის ნაკვეთი, ზომით ერთი დესატინა, რომელიც მდებარეობს ქალ. ცხინვალში რომელიც ეკუთვნოდა იოსებ გრიგორის ძე ცერაძეს. 1105 1—1

1920 წ. აპრილის 15, ტფილისის უფროსი ნოტარიუსისაგან იქნა ჩანიშნული სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში ნასყიდობის მოწმობა გორის მაზრის წინ. შესრულებული ცხინ. ნოტ. გოცირიძისგან 27 თებერვალს 1920 წ. შეძენილი მოქ. ელისაბედ ზაქარიას ძე არჩუაძე 100 მან., საჯარო ვაჭრობიდან, რომელიც მოხდა ცხინვალის მომრიგებელ მოსამართლის უბანში 7 თებერვალს 1920 წ. მიწის ნაკვეთი, ზომით 14 და სიგანით 12 არშ., რომელიც მდებარეობს ქ. ცხინვალში, რომელიც ეკუთვნოდა სოფიო გირგის ასულ არჩუაძეს. 1105 1—1

1920 წ. მაისის 17-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა, ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ლუსიკ შმანოვნა ტერ-ბერსეგიანცმა მიჰყიდა 40000 მანეთათ მაიერ აბრამის ძე აბნარაშვილის ნაკვეთი მიწის, ზომით 15 ½ ოთხკუთხიანი საჟენი, მდებარე მე-5 უბ. ქალაქ ტფილისში, მესამე არგუთინსკის შესახვევში ქალაქის № 122. 1049 1—1

დაიკარგა პასპორტი ანა სიმონის ასული კაჩინას სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2038 3—1

დაიკარგა ცხენების სამობილიზაციო კომისიის მიერ მიცემული მოწმობა № 8 აბრამ ისმაილ ოღლის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2037 3—1

დაიკარგა ცხენების სამობილიზაციო კომისიის მიერ მიცემული მოწმობა № 11 ასად მუსტაფა ოღლის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2036 3—1

დაიკარგა გაზეთებით ვაჭრობის ნებართვა № 940 ვასილი მაქსიმეს ძე შმილიოვის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან გაუქმებულად ჩაითვალოს. 2040 3-1

დაიკარგა საბინაო დავთარი ტასო არჩვაძის სახელზე, რომელიც მდებარეობს ფალავანდოვის ქუჩაზე № 24. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2042 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 5080 ალექსანდრე ნიკოლაიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2030 3—1

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული 2 კომისარიატიდან, მოწმობა, მიღებული სახელმწიფო თეატრის კანტორიდან, სასცენო მოღვაწეთა პროფესიონალური კავშირის წევრობის ბარათი, პასპორტი, მოწმობა და სურათი, მიღებული რესების ნაციონალური საბჭოდან. ოვანეს საკის ძე ზარიფიანცის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2039 3—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ თანახმათ მისი ნებადართველ მუხ. 22 აპრილისა 1920 წ. აღკრძალვა დადებული ირინე ბახვას ასულის იოსელიანის უძრავ ქონებაზე და შეტანილი აღკრძალვათა მუხლ. კრებულში ქ. სოხუმისა № 251, მოსპობილია. 0531 1—1

სოხუმის ოლქის უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ, თანახმათ მისი ნებადამრთველ მუხლ. 22 აპრილისა 1920 წ. ადკრძალვა, დადებული მანუჩარ პეტრეს ძე გაბუნიას უძრავ ქონებაზე და შეყვანილი აღკრძალვათ მუხლ. კრებულში ქ. სოხუმისა 1906 წ. № 52, მოსპობილია ნებადამრთვ. 0532 1-1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ თანახმად მისი ნებადამრთველ მუხლის 8 აპრილს 1920 წ. აღკრძალვა, დადებული უძრავ ქონებაზედ ელისაბედ ლევანის ასული კეთილაძისადა შეტანილი აღმკრძალველ მუხლების კრებულში ქ. სოხუმის 1912 წ. №73. გაუქმებულია. 0523 1—1

1920 წ. მაისის 27-ს უფროს ნოტარიუსისაგან ჩანიშნული იქმნა სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში ქალაქ ტფილისის შემზადებული ტფილისის ნოტ. ბოტეზატისაგან 5 სექტემბერს 1918 წელს შეიძ ნეს გრიგოლ და ილია ივანეს ძეთ ქვლივიძეებმა 1062 მანეთათ ნაკვეთი მიწა ზომით 75 ოთხკუთ. საჟ. საჯარო ვაჭრობიდან მოხდენილი 29 ივნისს 1918 წელს, რომელიც ეკუთვნოდა ოსანა აკოპის ასულის არამიანცის მემკვიდრეებს. 1140 1-1

1620 წ. მაისის 18-ს ტფილისის უფროს ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი რომლითაც მოქ. მარიამ კაზარის ასული მუნჯიშვილმა იგივე უდელოვისამ მიჰყიდა ალექსანდრე კაზარის ძე მარციაშვილს 10.000 მან. ერთი ნაკვეთი მიწისა, ზომით 004 ოთხკუთხიანი საჟ. მდებარეობს ქ. ტფილისში მე 6 უბანში, ქალაქის № 866 ქვეშ. 1078 1-1

1929 წ. მაისის 2 ს ტფილისის უფროს ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქ. ვასილი და ტროფიმ კონსტანტინეს ძეთ ზემლიანსკი მიჰყიდეს ნაზლა მნაცაკანის ასული იზმაილოვსკისას 180.000 მანეთათ ერთი ნაკვეთი მიწისა, ზომით 66 ½ ოთხკუთხიანი საჟ. მდებარებს ქ. ტფილისში 1 უბანში, ქალაქის № 1937 ქვეშ. 1081 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 81 მიღებული სახელმწიფო კონტროლის საგზაო სექციიდან მოანგარიშე მოხელის მარიამ ფარეიშვილის დედის-ოლგა ფარეიშვილის სახელზე. გაუქმებულათ ჩაითვალოს. 2010 3-3

დაიკარგა სახლის დავთარი სუპ-კარაპეტის ქუჩა № 25 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის გორგაძეს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1996 3—3

დაიკარგა მეტრიკულიამონაწერი, მიღებული მათხოჯის ეკლესიიდან და სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. ვასილი დავითის ძე ბარაბაძის სახელზე. 2008 3—3

დაიკარგა პასპორტი № 688 ვარვარა ბაგდასარის ასული კოჩაროვის სახელზე, მიღებული ქ. კიევიდან 1916 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 1999 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი გასპარ ხითარიშვილის სახელზე, რკინის გზის გადაღმა ბაღდასაროვის ქუჩაზე მდებარე სახლის, რომელიც ახლა ეკუთვნის გეურგ ბაინდურაშვილს გაუქმებულად ჩაითვალოს. 2000 3-3

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაკაგარიანი.